

GeoCapital-ის საჩუქარი ქუთაისელებს

2015 წლის 8 მარტს ქუთაისში ზ. გამსახურდიას გამზირზე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია GeoCapital-ის ოფისის გვერდით ახალი სკვერი - GC პარკი საზეიმოდ გაიხსნა.

ღონისძიება ღია იყო ფართო საზოგადოებისთვის და მას დაესწრნენ ქ. ქუთაისის მერი ბ-ნ შოთა მურღულია, ვიცე მერი ბ-ნ ნოდარ მიქიაშვილი და სხვა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების თანამდებობის პირები, ასევე მოწვეულნი იყვნენ ბიზნეს წრეების და მასმედიის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე ძალიან ბევრი ბავშვი იმყოფებოდა, რომელთა გართობაზე ზრუნავდა მხიარული კლოუნი. კომპანია სტუმრებს კორპორატიული ტორტით და სასმელებით გაუმასპინძლდა. ქალბატონებს გაზაფხულის ყვავილები მიართვეს. სკვერის გახსნა დასრულდა კონცერტითა და ულამაზესი ფეიერვერკით.

“ჩვენ მოვაწყვეთ ეს სკვერი ქუთაისის მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით გვაწუხებს ახალგაზრდა თაობის ბედი და მომავალი. ვგსურდა შეგვექმნა შეხვედრებისა და დასვენებისათვის სასიამოვნო ადგილი, სადაც ასევე შესაძლებელია უფასო ინტერნეტით სარგებლობა,” - ამბობს ქ-ნი ირმა სვანაძე, GeoCapital-ის გენერალური დირექტორი და ქუთაისის მკვიდრი. „ჩვენთვის ეს სკვერი საზოგადოებისათვის მოკრძალებული ლამაზი საჩუქრის გაკეთების შესაძლებლობაა, მისადმი პატივისცემისა და საყვარულის ნიშნად.“

უნდა აღინიშნოს, რომ სკვერი დაპროექტებულია ადგილობრივი არქიტექტორის მიერ და გამოირჩევა თანამდეროვე დიზაინით. მასში ოსტატურადაა შეხამებული ხელოვნური ქვის ელემენტები, დეკორატიული ფილა და მშვენიერი ნარგავები, რაც ქმნის კომფორტულ დასასვენებელ გარემოს ქალაქის შუაგულში.

სკვერი უზრუნველყოფილია უფასო Wi-Fi ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქუთაისელებისა და ქალაქის სტუმრებისათვის. პარკი სრულყოფილად არის განათებული ღამის საათებში, ხოლო მიმდებარე ტერიტორია კონტროლდება CCTV კამერებით, რაც 24 საათის განმავლობაში პარკის უპირატესობებით სარგებლობისათვის უსაფრთხო გარემოს ქმნის.

სამომავლოდ GeoCapital-ი გეგმავს არა ერთი საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას GC პარკში და ახალი ტრადიციების ჩამოყალიბებას ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დაფუძნებიდან დღემდე GeoCapital-ის მეშვეობით ათასობით ადამიანმა დასავლეთ საქართველოში მიიღო მაღალხარისხიანი მომსახურეობა, აიღო ბიზნეს და სამომხმარებლო სესხები. კომერციულ საქმიანობასთან ერთად, GeoCapital-ი ახორციელებს საქველმოქმედო და საგანმანათლებლო პროექტებს, რომელთა მიზანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის დახმარება დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნებთან ადაპტაციაში, ასევე ზოგადად ბიზნეს და სოციალური გარემოს გაუმჯობესება.

2012 წელს GeoCapital-მა დააფუძნა არაკომერციული ორგანიზაცია GeoCapital Education-ი, რომელიც ატარებს უფასო ტრენინგებს იმერეთში და აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას

შესაძლებლობას დაეუფლონ პერსონალური და მცირე ბიზნესის ფინანსების მართვის საფუძვლებს.

GeoCapital-ი კვლავ გააგრძელებს საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას და იმედოვნებს, რომ თავის წვლილს შეიტანს გარემოსა და საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

GeoCapital-ის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს www.geocapital.ge.



GC Park Dedication Ceremony

On March 8, 2015 GeoCapital Microfinance Organization dedicated the recently completed “GC Park” to the people of Kutaisi. The ceremony was held at Z. Gamsakhurdia # 25, nearby GeoCapital’s branch office.

The event was open to the public. Attendees included the Mayor of Kutaisi Shota Murghulia, Chairman of City Council Mr. David Dvali, Vice-Mayor Mr. Nodar Mikiashvili and other local government officials and business leaders. The event was attended by a lot of children, who spent a great time thanks to the friendly clown brought by GeoCapital. Toward the end of the ceremony, guests were served a corporate cake and drinks. Everyone attending was treated to a fireworks show and a concert.

“We built this park for the people of Kutaisi. At GeoCapital, we especially care about the youth and the future generation of the city. We wanted to create a pleasant spot for people to meet, relax and enjoy free wireless internet.” - says Irma Svanadze who is GeoCapital’s General Director and also a native of Kutaisi. “This park is one of the ways we are giving back to our local community”.

The Park has a contemporary design by a local architect and it makes liberal use of stone, tile and plants to create a comfortable resting space in the middle of the city. GC Park is also equipped with free public Wi-Fi internet giving both local residents and Kutaisi visitors an easy path to the internet. At night, the park will be well lit and the entire area is equipped with CCTV cameras to promote safe enjoyment by all visitors.

In the future GeoCapital plans to organize more interesting events in GC Park and establish a good practice in the social life of Kutaisi.

Since its formation in 2011 GeoCapital has provided thousands of people across Western Georgia with business and personal loans. The company does not only carry out commercial work, but also provides charity and educational projects which are intended to improve the social situation in Georgia and help the local community in adapting the contemporary challenges.

In 2012 GeoCapital founded a non-for profit organization “GeoCapital Education” which has taught thousands of people the basics of personal budgeting and small business finance through workshops in the Imereti region.

GeoCapital will keep launching the charity and educational projects in the future and intends to improve social and economic development of the society.

For more information, please see GeoCapital on the web at <http://www.geocapital.ge>.

